სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/241

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019

სტუ-ის სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოს დებულება №1 დანართის შესაბამისად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამეცნიერო საექსპერტო საბჭოს
დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/241 დადგენილებით

მუხლი 1. რეგულირების სფერო

დებულება განსაზღვრავს:
სტუ-ის სამეცნიერო საექსპერტო საბჭოს შედგენის, მისი თავმჯდომარის არჩევის და საქმიანობის წესს, აგრეთვე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის აპელაციების განხილვის პროცედურას.

მუხლი 2. სამეცნიერო საექსპერტო საბჭოს სტრუქტურა

1. სამეცნიერო საექსპერტო საბჭო (შემდგომში საბჭო) იქმნება 4 წლის ვადით, დარგის ცნობილი/წამყვანი 11-15 მეცნიერის წარმომადგენლობით. მათ კანდიდატურას წარადგენს რექტორი, ან სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე და ამტკიცებს სტუ-ის აკადემიური საბჭო ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საბჭოს წევრები, საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს სწავლული მდივანი;

3. საბჭოს მართვას ახორციელებს
- საბჭოს საერთო კრება;
- საბჭოს საერთო კრებებს შორის შუალედში საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს პირველ საერთო კრებას ხსნის/ატარებს რექტორი, ან რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

4. საბჭოს საერთო კრება თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს ერთი ან რამდენიმე წევრის წარდგენით, სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით; საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს საერთო კრებას წარუდგენს მოადგილისა და სწავლული მდივნის კანდიდატურებს, რომლებიც მტკიცდება ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

მუხლი3. საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და სწავლული მდივნის უფლება-მოვალეობები:

1. *საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებია:*
- საბჭოს ხელმძღვანელობა;
- უფლება-მოვალეობების განაწილება საბჭოს წევრებს შორის;
- საბჭოს საერთო კრების მოწვევა;

2.*საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლება-მოვალეობებია:*
- საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით საბჭოს სხდომის მოწვევა;

- საბჭოსთავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, ასევე საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პერიოდში, საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობა;

3.*საბჭოს სწავლული მდივნის უფლება-მოვალეობებია:*

- საბჭოს საერთო კრების ორგანიზება;
- საბჭოს წევრების საერთო კრებაზე დასწრების აღრიცხვა;
- საბჭოს ვებგვერდზე ინფორმაციის დროული განთავსების უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში დისერტაციისა და ავტორეფერატის პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად გადაცემა და დასკვნის მიღება;
- საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის (ოქმის სახით) მიწოდება შესაბამისი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსათვის;
- აპელაციასთან დაკავშირებული საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესაბამისისააპელაციო განაცხადის ავტორისათვის წერილობითი (ელექტრონული ფოსტით და ა.შ.) შეტყობინება;

მუხლი 4.სამეცნიერო საექსპერტო საბჭოს საერთო კრება

1. სამეცნიერო საექსპერტო საბჭოს მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება;
2. საბჭოს საერთო კრება:
   - ისმენს და ამტკიცებს საბჭოს წლიურ ანგარიშს, რომელსაც შემდგომ საბჭოს თავმჯდომარე წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
   - წყვეტს ძირითად საორგანიზაციო საკითხებს.

3. საბჭოს საერთო კრება მოიწვეული უნდა იქნეს საჭიროებისამებრ თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა 2/3-ის მოთხოვნით, სემესტრში (პირველ და მეორე) სულ მცირე ორჯერ მაინც;
4. საბჭოს საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3. იგი გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 5.სამეცნიერო საექსპერტო საბჭოს საქმიანობა

1. საბჭო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესიგანათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებების, წინამდებარე დებულებისა და განათლების სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
2. საბჭოს მუშაობის ძირითადი პრინციპებია კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, ღიაობა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა;
3. საბჭო იქმნება სტუ-ში არსებული საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოზე დაცული დისერტაციების აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული აპელაციების განხილვის მიზნით;
4. საბჭო უფლებამოსილია:

- განიხილოს აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული სააპელაციო განცხადებები; საჩივარი მიიღება სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
- სააპელაციო განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გამოყოს არანაკლებ ორი ექსპერტი სადისერტაციო ნაშრომის ან/დამასალების დამატებით შესასწავლად;
- ექსპერტებს სააპელაციო მასალები გადასცეს ანონიმურად;
- სააპელაციო საჩივარზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში;

5. საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ ოქმი ფორმდება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, ოქმის საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს რექტორი/რექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე.

6. სააპელაციო საჩივრის დადასტურების შემთხვევაში დისერტაცია/მასალები უბრუნდება სადისერტაციო საბჭოს ხელახლა განსახილველად.

7. აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე